ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

G E O R G I A

CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:**ო97. 9725024001**

თარიღი:**24/01/2025**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ოქმი N-01

დ.ლენტეხი 23. იანვარი .2025წ.

მიმდინარე წლის 23 იანვარს დღის 12 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 12 (თორმეტი) წევრი. საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა საკრებულოს 9(ცხრა) წევრი.

სხდომას ესწრებოდა მერიის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი და საკრებულოს აპარატის უფროსი მაყვალა ჩახქსელიანი.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.**

   /მომხს: მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოც. საკითხთა სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანი/

2. **,,2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N-19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავა/

3. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების თაობაზე.**

   /მომხს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი/

4. **სხვადასხვა.**

სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1. **მოისმინეს:** მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის და სოც. საკითხთა სამსახურის უფროსი ხათუნა ლიპარტელიანმა ბიუროს წევრებს გააცნო ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის პროექტი. აღნიშნა, რომ პროექტში გათვალისწინებულია შემდეგი სახის ცვლილების შეტანა:

   1. დიალიზი ყოველთვიურად იყოს 200 და გაიზრდება 250 ლარამდე;

   2. 1-18 წლამდე შშმპ ყოველთვიური იყო 60 და გაიზრდება 80 ლარამდე;

   3. ოპერაციები იყო 1000 ლარი და გაიზრდება 1500 ლარამდე;

   4. გამოკვლევები იყო 500 ლარი და გაიზრდება 700 ლარამდე;

   5. ბინის ქირა იყო 150 ლარი და გაიზრდება 200 ლარამდე.

   საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს: მევლუდ ლიპარტელიანმა დადგენილების პროექტში გათვალისწინებული ცვლილებები ნამდვილად კარგად არის გათვლილი მოსახლეობაზე და რა თქმა უნდა მისაღებია.

   სტიქიით დაზარალებულ პირებზე დახმარების გაცემაზე დამაზუსტებელი კითხვები დასვა ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ წევრმა გიორგი შავრემიანმა.

   მომხსენებელმა პასუხი გასცა ყველა შეკითხვას.

   შეკითხვა დასვა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა: **სოციალური დახმარების მუხლში წინა წელთან შედარებით მთლიანობაში რამდენით არის გაზრდილი თანხა?**

   პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თანხა გაიზარდა 30000 ლარით. ამავე დროს გამონთავისუფლდა თანხა ხანდაზმულებზე ერთჯერადი დახმარების გაცემის გაუქმებით. დარჩა მხოლო მარტოხელა ხანდაზმულები. შესაბამისად გამონთავისუფლებული თანხის ხარჯზე გავითვალისწინეთ შემდეგი სახის დახმარებების გაზრდა:

   1. დიალიზი ყოველთვიურად იყოს 200 და გაიზრდება 250 ლარამდე;

   2. 1-18 წლამდე შშმპ ყოველთვიური იყო 60 და გაიზრდება 80 ლარამდე;

   3. ოპერაციები იყო 1000 ლარი და გაიზრდება 1500 ლარამდე;

   4. გამოკვლევები იყო 500 ლარი და გაიზრდება 700 ლარამდე;

   5. ბინის ქირა იყო 150 ლარი და გაიზრდება 200 ლარამდე.

სხდომის თავმჯდომარე დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

დაადგინეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის წარმოდგენილი სახით.

2.მოისმინეს: საკრებულოს საფინანსო კომისიის თავმჯდომარე ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო საკითხი - 2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცვლილება შევიდა საჯარო კანონში და საკრებულოს აპარატის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირად. შესაბამისად ეს ცვლილება უნდა აისახოს აღნიშულ დადგენილებაში.

დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა.

სხდომის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

დაადგინეს : დამტკიცდეს დადგენილების პროექტი - 2025 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 დეკემბრის N- 18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3. მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ დავით პირველმა სხდომის წევრებს გააცნო საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის პროექტი. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გეგმა მომზადდა საკრებულოს კომისიების მიერ მოწოდებული საკითხების საფუძველზე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის შედეგით:

მომხრე -12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2025 წლის სამუშაო გეგმა.

4. სხვადასხვა.

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ მევლუდ ლიპარტელიანმა სხდომის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე საწვავის (ბენზინის და დიზელის) ყოველთვიური განაწილების შესახებ.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

ღია კენჭისყრის საფუძველზე:

მომხრე - 12

წინააღმდეგი -0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს განკარგულების პროექტი საწვავის ყოველთვიური განაწილების თაობაზე.

საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა 13 საათსა და 30 წუთზე.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე